

საქართველოს კანონი

„მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მტირალას ეროვნული პარკის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პარკის მართვა

„მტირალას ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

2 კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. 2008 წლის 1 იანვრამდე გამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „მტირალას ეროვნული პარკის სამენეჯმენტო გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მუხლი 2. კანონის ამოქმედების ვადა.

„1. ამ კანონის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან;

2. ამ კანონის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;“

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი